ჯონ ბ. თომპსონი

მედია და მოდერნულობა

მედიის სოციალური თეორია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2014

ჯონ ბ. თომპსონი
მედია და მოდერნულობა
მედიის სოციალური თეორია

John B. Thompson
THE MEDIA AND MODERNITY
A social theory of the media

Copyright © John B. Thompson 1995
The right of John B. Thompson to be identified as author of this work has been asserted in accordance with the Copyright, Designs and Patents Act 1988.
First published in 1995 by Polity Press in association with Blackwell Publishers Ltd.

This edition is published by arrangement with Polity Press., Cambridge.

წინამდებარე გამოცემა იბეჭდება
Polity Press Ltd., Cambridge-ის ხელშეწყობით.

მთარგმნელი: ნინო ბარძიმიშვილი
რედაქტორი: ლანა ღვინჯილია
დამკაბადონებელი: სოფიო კევლიშვილი

ISBN 978-9941-18-215-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა v

შესავალი 1

1 კომუნიკაცია და სოციალური კონტექსტი 12

ქმედება, ძალაუფლება და კომუნიკაცია 14
რაში გამოიყენება კომუნიკაციური მედია? 22
მასობრივი კომუნიკაციის ზოგი მახასიათებელი 29
სივრცის და დროის რეორგანიზება 39
კომუნიკაცია, გათავისება და ყოველდღიური ცხოვრება 46

2 მედია და მოდერნული საზოგადოებების განვითარება 55

თანამედროვე საზოგადოების ზოგი ინსტიტუციური განზომილება 58
კომუნიკაცია, საქონლად ქცევა და ბეჭდვის დასაწყისი 66
ახალი ამბებით ვაჭრობის დასაბამი 80
საჯარო სფეროს თეორია: წინასწარი შეფასება 87
მედიაინდუსტრიის ზრდა: მიმოხილვა 95

3 მედირებული ურთიერთობის დასაბამი 101

ურთიერთობის სამი ტიპი 102
მედირებული კვაზიურთიერთობის სოციალური წყობა 109
შორიდან ქმედება (1): ქმედება შორს მყოფი სხვებისთვის 123
შორიდან ქმედება (2): საპასუხო ქმედება დისტანცირებულ კონტექსტში 135

4 ხილვადობის ტრანსფორმაცია 148

საჯარო და პირადული 149
პუბლიკა ადგილსამყოფელის გარეშე: მედირებული საჯაროობის წარმოშობა 155
ხილვადობის მართვა 167

კონტროლის შესაძლებლობათა ზღვარი: შეცდომები, სკანდალები და უსიამოვნებების სხვა წყაროები 175

5 კომუნიკაციის გლობალიზაცია 186

გლობალური კომუნიკაციური ქსელის წარმოქმნა 189
გლობალური კომუნიკაციის დღევანდელი მოდელი: მიმოხილვა 198
კულტურული იმპერიალიზმის თეორია: ხელახალი შეფასება 205
გლობალიზებული გავრცელება, ლოკალიზებული გათავისება: მედიაგლობალიზაციის თეორიას მიახლოება 216

6 ტრადიცია: ხელახლა ფეხის მოკიდება 223

ტრადიციის ბუნება 225
ტრადიცია და მედია (1): განადგურებული ტრადიცია? 234
ტრადიცია და მედია (2): შინიდან განდევნილი ტრადიცია 246
მომთაბარე მოსახლეობა, მოხეტიალე ტრადიციები: კულტურული კონფლიქტის ზოგი წყარო 253

7 „მე“ და გამოცდილება მედირებულ სამყაროში 258

„მე“, როგორც სიმბოლური პროექტი 261
ცალმხრივი დისტანციური სიახლოვე 273
გამოცდილების შეკვეცის გაუქმება და მედირება 281
ახალი შესაძლებლობა, ახალი ტვირთი: ცხოვრება მედირებულ სამყაროში 289

8 საჯაროობის ხელახლა გამოგონება 293

საჯაროობა სახელმწიფოს მიღმა 295
ხილვადობა საერთო სივრცის მიღმა 303
გეზი დემოკრატიული პოლიტიკის განახლებისკენ 311
გეზი გლობალური პასუხისმგებლობის ეთიკისკენ 323

შენიშვნები 332

საძიებელი 374

წინათქმა

ეს წიგნი ზოგი იმ იდეის გადამუშავების და დახვეწის შედეგი გახლავთ, რომლებიც თავდაპირველად ჩემს „იდეოლოგიასა“ (Ideology) და „მოდერნულ კულტურაში“ (Modern Culture) მოვხაზე. იქ გამოვთქვამდი მოსაზრებას, რომ, თუ გვსურს, გავიგოთ კულტურული ცვლილებები, რომლებიც თანამედროვე სოციუმების წარმოქმნასთან ასოცირდება, მაშინ კომუნიკაციური მედიის განვითარების და მათი გავლენის საკითხები ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ. ამ წიგნში შევეცდები, გავამართლო ეს მოსაზრება. აქ მეტ-ნაკლებად დეტალურად ვიკვლევ კომუნიკაციური მედიის ბუნებას და მისი ცვლად ფორმებს; ვმსჯელობ მედიაინდუსტრიების წარმოქმნასა და ვაანალიზებ ზოგ ბოლოდროინდელ ტენდენციას; მაგრამ ყველაფერზე მეტად შევეცადე, მეჩვენებინა, რომ მედიის განვითარება საფუძველშივე გადაწნული იყო იმ ძირითად ინსტიტუციურ გარდაქმნებთან, რომლებმაც სახე მისცეს თანამედროვე სამყაროს. ჩემი უპირველესი საზრუნავი ამ ურთიერთკავშირების გამოკვლევა, მათი კონტურების გამოკვეთა და მათი როლის განხილვაა და, იმედი მაქვს, გარკვეული სინათლე მოვფინო ჩვენს თანამედროვე, მედიით-გაჟღენთილ მსოფლიოს, თანაც ისე, რომ აწმყოთი ზედმეტად შეპყრობილი და ამ მიზეზით ბეცი არ აღმოვჩნდე.

დიდ ვალში ვარ იმ მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და კოლეგების წინაშე, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ვმსჯელობდი ამ პრობლემებზე და ვინც გამონახა დრო, წაეკითხა და შენიშვნები მოეცა ტექსტის ადრეულ მონახაზებზე. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ლიზბეთ გუდმანი: მან უამრავი სასარგებლო რჩევა მომცა და გამხნევების და მხარდაჭერის უშრეტი წყარო აღმოჩნდა ჩემთვის. საუბრები ენტონი ჯიდენსა და დევიდ ჰელდთან დამეხმარა, ამ წიგნის თემები ჩამომეყალიბებინა; ამას გარდა, მათ წაიკითხეს ადრეული მონახაზები და ბევრი ფასეული გამოხმაურებით დამეხმარნენ. პიტერ ბურკი, ჯეიმს ლული, ვილიამ აუთვეითი და ანაბელ სრებერნი-მოჰამადი არ იშურებდნენ საკუთარ დროს თუ შენიშვნებს; მადლობელი ვარ მათი აქტიური კრიტიციზმის და მათი გამოცდილების სფეროში არსებულ შე-

საბამის შრომებზე მრავალრიცხოვანი მითითებისთვის. მაიკლ სტანვორთმა, ჰენრიეტა მურიმ, ჰელგა გეიერ-რაიანმა და პიტერ და კარინ გრუმბრიჯებმა შეუდარებელი მეგობრობა გამიწიეს და მუდამ საუკეთესო რჩევებს მაძლევდნენ. აგრეთვე მსურს, მადლობა ვუთხრა ავრილ საიმონდსს მოთმინებით აღსავსე ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ენ ბოუნს ყურადღებიანი კორექტურისთვის; და Polity Press-ისა და Blackwell Publishers-ის თანამშრომელ მრავალ სხვა ადამიანს, განსაკუთრებით კი – ჯილ მოტლის, ჯულია ჰარსანტს, ნიკოლა როსს, პამ თომასს, ლინ ლუკასს და ჯინი სტროუდ-ლევისს, ვინც სხვადასხვა ეტაპზე მეხმარებოდნენ ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებაში.

ჯ.ბ.თ., კემბრიჯი, 1994 წლის დეკემბერი

შესავალი

„ვთქვი, რომ, ჩემი აზრით, ყველაფერი ქაოსით იყო მოცული, ანუ მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი სულ ერთმანეთში იყო არეული; და აქედან სიმყარე შედედდა – სწორედ ისე, როგორც რძიდან ყველი ამოიკვეთება – და მასში მატლები გაჩნდნენ, და ეს ანგელოზები იყვნენ. უწმინდესმა დიდებულებამ ბრძანა, რომ ესენი ღმერთი და ანგელოზები უნდა ყოფილიყვნენ, და ანგელოზთა ამ სიმრავლეში იყო ღმერთიც, ისიც ამ სიმყარიდან შეიქმნა მათთან ერთდროულად, და ის გახდა უფალი...“[1] ფრიულის, დღევანდელი ჩრდილო იტალიის, პატარა სოფელ მონტერეალის მეწისქვილემ ეს სიტყვები მეთექვსმეტე საუკუნეში წარმოთქვა და დღეს იგი ჩვენს გულს და გონებას მხოლოდ ისე იპყრობს, ვით გარდასული ეპოქის აზროვნების ნიმუში. იოლი არ არის, სერიოზულად მივიღოთ სამყაროს იმგვარი ხედვა, როგორსაც ეს სიტყვები აღწერს, ან გავიგოთ, მათ წარმომთქმელ ადამიანს – მავან დომენიკო სკანდელას, მენოქიოს სახელითაც რომ არის ცნობილი, რად დაუჯდა ასე ძვირად საკუთარი ახირებული რწმენა (მენოქიო დაკითხეს, დაატუსაღეს და საბოლოოდ სიკვდილით დასაჯეს). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი სამყარო ძლიერაა დაშორებული მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრები მეწისქვილის სამყაროს, არის ერთი, მნიშვნელოვანი სოციალური შტრიხი, რაც მას ჩვენთან აიგივებს: თანასოფლელებისგან განსხვავებით, მენოქიომ კითხვა იცოდა.

სხვა წიგნებს შორის, მენოქიოს წაკითხული ჰქონდა *Il cavallier Zuanne de Mandavilla*, თარგმანი პოპულარული წიგნისა მოგზაურობის შესახებ, რომელიც სერ ჯონ მანდევილს მიეწერებოდა. მეოთხმეტე საუკუნის შუა წლებში დაწერილი ეს წიგნი მეთექვსმეტე საუკუნეში მრავალჯერ დაიბეჭდა ხელახლა და მთელ ევროპას მოედო. მენოქიომ მასში ამოიკითხა შორეული ქვეყნების შესახებ, სადაც ადამიანები სხვა ადათ-წესებს მისდევდნენ, სხვა კანონებს ემორჩილებოდნენ და სხვა რწმენას იზიარებდნენ; წაიკითხა იმ მხარეების შესახებ, სადაც ზოგი ხალხი მზეს სცემდა თაყვანს, ზოგი – ცეცხლს, ზოგი კი – გამოსახულებებსა და კერპებს; წაიკითხა კუნძულების შესახებ, სადაც კაციჭამიები,

ქონდრისკაცები და ძაღლისთავა ადამიანები ცხოვრობდნენ. ამ აღწერებმა შეძრა მენოქიო და აიძულა, ეჭვქვეშ დაეყენებინა საკუთარი რწმენის საფუძვლები. მათ სხვა სამყაროში გაუჭრეს სარკმელი. მას შეეძლო, დროებით შეებიჯებინა იმ სამყაროში და იქიდან დაკვირვებოდა – იმ ერთგვარი შფოთვით შეპყრობილი, რაც ხშირად ახლავს ალტერნატივის აღმოჩენას – მონტერეალში საკუთარი ყოველდღიური ცხოვრების სამყაროს.

უეჭველია, მენოქიო უჩვეულო წარმოსახვის უნარს ფლობდა. მისი გასაოცარი კოსმოგონია მისივე საკუთარი ქმნილება იყო და ამ იდეებს მისი თანასოფლელები ალბათ სიფრთხილის, დაბნეულობის და გაოცების ნაზავი გრძნობით ეკიდებოდნენ. დაკითხვისას მენოქიო ისევ და ისევ იმეორებდა, რომ თავისი იდეები თავადვე გამოიგონა („სერ, მე არავის შევხვედრივარ ისეთს, ამგვარი შეხედულებები რომ ჰქონოდა; ჩემი შეხედულებები ჩემსავე თავში გაჩნდა“), მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი, რადგანაც მენოქიოს ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული და იქიდან მრავალი იდეაც ჰქონდა ამოკრეფილი. მისმა ცოცხალმა წარმოსახვამ გადაამუშავა ეს იდეები, ახლებური აზრი შესძინა, ერთმანეთში და სოფლის ცხოვრების ზეპირსიტყვიერ ადათებში აზილა. მენოქიოს თვალსაზრისი, უეჭველია, გამორჩეული და დაუცხრომელი გონების ნაყოფი იყო, მაგრამ ის შექმნა სოციალურმა ტრანსფორმაციებმა, რომელთაც საფუძველი სადღაც სხვაგან ედოთ და რომლის გავლენაც ფრიულის სოფლებზე ბევრად შორს ვრცელდებოდა.

მენოქიოს სამსჯავრო 1584 წელს მოეწყო. ამ დროისთვის უკვე ას წელზე მეტი იყო, რაც მთელ ევროპაში საბეჭდი დაზგები მუშაობდნენ. სულ უფრო მეტი წიგნი ემატებოდა ნაბეჭდი პროდუქციის ზვავს, რომელიც თანდათანობით მრავალი პიროვნების ცხოვრებას შეცვლიდა. თავდაპირველად ბეჭდვის დაწყების გავლენა მეტწილად დიდ ურბანულ ცენტრებში იყო შესამჩნევი, განათლებულ ელიტას შორის, ვისაც მართვის სადავეები ეპყრათ. მაგრამ ნაბეჭდი პროდუქცია სწრაფად ვრცელდებოდა და მოკლე დროში უკვე მენოქიოს, მდაბიო წარმოშობის თვითნასწავლი მეწისქვილის მსგავსმა უბრალო ადამიანებმაც შეაღწიეს სამყაროში, რომლის კარიც ნაბეჭდმა სიტყვამ გახსნა. რაც არ უნდა უცნაური გვეჩვენებოდეთ დღეს მენოქიოს შეხედულებები, იგი მაინც იყო იმ ახალი ეპოქის წინამორბედი, რომელშიც სიმბოლური ფორმები შორს გასცდებოდა ყოველდღიური ცხოვრების საერთო სამოქმედო არეალს და რომელშიც იდეების ბრუნვა

აღარ იქნებოდა შეზღუდული პირისპირ ფორმატში სიტყვების გაცვლა-გამოცვლით.

ამ წიგნში მიზნად მაქვს, თვალი გავადევნო ამ და მის შემდგომ ცვლილებებს მოვლენაში, რასაც სიმბოლური ძალაუფლების სოციალურ მოწყობას (social organization of symbolic power) ვუწოდებდი და გარკვეულწილად გამოვიკვლიო, რა გავლენა მოახდინეს მათ იმ სამყაროზე, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. შევეცდები, ვაჩვენო, რომ კომუნიკაციური მედიის განვითარება – ბეჭდვის ადრინდელი ფორმებიდან ვიდრე ბოლოდროინდელ ელექტრონული კომუნიკაციის სახეობებამდე – მოდერნული საზოგადოებების წარმოშობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. კომუნიკაციური მედიის განვითარება კომპლექსურად იყო ჩაწნული განვითარების რიგ სხვა პროცესებში, რომლებიც, ერთად აღებული, აყალიბებდა იმას, რასაც ჩვენ დღეს „მოდერნულობას“ ვუწოდებთ. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა, გავიგოთ მოდერნულობის ბუნება – ანუ მოდერნული საზოგადოების ინსტიტუციური მახასიათებლების და მათგან შექმნილი ცხოვრების პირობების ბუნება – მაშინ ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ კომუნიკაციური მედიის განვითარება და მისი გავლენა.

შეიძლება გასაოცარი იყოს, რომ სოციალური თეორიის სპეციალისტთა ნაშრომებს შორის, ვინც მოდერნული საზოგადოებების წარმოშობის თემას ეხებოდა, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვინც კომუნიკაციურ მედიას სათანადო ყურადღებით მოეკიდა. საკმაოდ უხვად მოიძევება საზოგადოების და კულტურის ისტორიკოსების ნაშრომები, რომელიც ადრეული მოდერნული ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ცხოვრებაზე ბეჭდვის წამოწყების გავლენას ეხება, და ბევრია ლიტერატურა მედიაინდუსტრიის უფრო გვიანდელი განვითარების შესახებაც; მაგრამ სოციალური თეორეტიკოსების ნაწერებში კომუნიკაციური მედიის საკითხებს, როგორც წესი, ვერ წააწყდებით. რას მიეწერება ეს უგულებელყოფა? უეჭველია, ნაწილობრივ ამის მიზეზი არის მედიის მიმართ უნდობელი დამოკიდებულება. საზოგადოების ცვლილებების ხანგრძლივი პროცესებით დაინტერესებული თეორეტიკოსებისთვის მედია შესაძლოა ზედაპირულ და ეფემერულ სფეროდ ჩანდეს, სფეროდ, რომლის შესახებაც დანამდვილებით თითქოს ძალიან ცოტა რამ შეიძლება ითქვას. მაგრამ არის სხვა მიზეზებიც, რომლებსაც უფრო ღრმა ისტორიული თუ ინტელექტუალური ფესვები აქვთ და რომლებიც ამ უგულებელყოფის ახსნაში დაგვეხმარება.

როდესაც სოციალური თეორიის სპეციალისტები მსჯელობენ მოდერნულობის განვითარების ზოგად მონახაზზე, როგორც წესი, ამას აკეთებენ მეთოდით, რომელიც მთლიანად კლასიკური სოციალური აზროვნების მემკვიდრეობას ეყრდნობა. ისინი საკუთარ კომპეტენციას აფუძნებენ იმ ავტორების ნაშრომებზე, ვინც მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში წერდნენ და ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ იმ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ის-ის იყო, მათ გარშემო რომ ყალიბდებოდა. სოციალური დარგის კლასიკოსი მოაზროვნეები კომუნიკაციური მედიის განვითარებას მნიშვნელოვან როლს არ ანიჭებდნენ. მოდერნული საზოგადოების წარმოშობასთან ასოცირებულ უმთავრეს კულტურულ დინამიკას ისინი სხვა სფეროებში ხედავდნენ: უპირველესად ის მოიაზრებოდა რაციონალიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესებში, რომელთა დახმარებითაც, სავარაუდოდ, მოდერნული საზოგადოება თანდათან მოიცილებდა წარსულის ტრადიციულ ხელისშემშლელ ფაქტორებს. ეს ამაღლებული ხედვა გახლდათ, ეპიკური „გულის გასაგმირალი სიტყვის“ ტრადიციების დაცვით გადმოცემული დიადი ამბავი; მისი ფალავნები, გონივრულობისა და განათლების პროგრესული ძალები, იერიშით უტევდნენ მითისა და ცრურწმენის ჩამუქებულ ზღუდეებს. ეს ის ხედვაა, რომლითაც მას მერე შეპყრობილია თეორიული წარმოდგენები და დაპირისპირებულ ბანაკებად ჰყოფს თანამედროვე თეორეტიკოსებს. ერთ ნაწილს სურს, დაიცვას და დახვეწოს ამბავი, მეორე კი მიდრეკილია, რომ უარყოს იგი, ვით მორიგი მითი.

ნაშრომს, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ცოტა რამ თუ აქვს საერთო ამ დიადი ამბის ამაღლებულ დრამასთან. გონივრულობასა და მითს შორის გამართული ამ, თავისთავად მარადიული, ბრძოლისგან განსხვავებით, მე შევეხები განვითარების თანმიმდევრობას, რაც საკმაოდ კარგად იქნება დოკუმენტირებული და რომლებსაც ცხადი ინსტიტუციური ბაზისი აქვს – მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულის მომცრო საბეჭდი დაზგიდან ვიდრე დღევანდელ კომუნიკაციურ კონგლომერატებამდე. შევეხები კომუნიკაციის ქსელის და საინფორმაციო ნაკადის თანდათანობით გაფართოებას, ქსელს, რომლის საზღვრებიც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან სულ უფრო გლობალური ხდება. შევეხები საკითხს, თუ როგორ არის ეს ქსელები გადახლართული ძალაუფლების სხვა – ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო – ფორმებთან და თუ როგორ იყენებდნენ მათ მოქმედი პირები, ცალკე თუ ჯგუფურად, საკუთარი მიზნების მისაღწევად. მაგრამ

ასევე შევეცდები ვაჩვენო, რომ, ამ განვითარების ამქვეყნიური ხასიათის მიუხედავად, მათი შედეგები უფრო შორს მიმავალია.

წიგნის ცენტრალური აზრი ისაა, რომ კომუნიკაციისა და ინფორმაციული ნაკადის ახალი ქსელის განვითარების სოციალური გავლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია გავიგოთ, თუ გვერდზე გადავდებთ ერთი შეხედვით დამაჯერებელ იდეას, რომ კომუნიკაციური მედია ემსახურება საინფორმაციო და სიმბოლური შინაარსის გადაცემას ინდივიდუალებისთვის, ვისი დამოკიდებულებაც სხვების მიმართ ძირითადად უცვლელი რჩება. ამის ნაცვლად თვალი უნდა გავუსწოროთ, რომ კომუნიკაციური მედიის გამოყენებას თან ახლავს საზოგადოებაში ქმედების და უკუქმედების ახალი ფორმების, ახლებური საზოგადოებრივი ურთიერთობების, სხვებთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულების ახალი სახის შექმნა. როდესაც პიროვნებები კომუნიკაციურ მედიას მოიხმარენ, ისინი ურთიერთობის იმგვარ ფორმებში ერთვებიან, რომელიც გარკვეულად განსხვავდება პირისპირ ურთიერთობის, ანუ ყოველდღიური ცხოვრების უმრავლესი სიტუაციებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის, ტიპისგან. ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედონ მათთვის, ვინც ფიზიკურად მათთან არ იმყოფება, ან მათი მოქმედება პასუხი იყოს შორს მყოფი ადამიანის აქტივობაზე. კომუნიკაციური მედიის გამოყენება საფუძვლიანად ცვლის საზოგადოებრივი ცხოვრების სივრცულ და დროით ორგანიზაციას, ქმნის ქმედების და უკუქმედების ახალ ფორმებს და ძალის გამოყენების ახალ მოდელებს, რომლებიც უკვე აღარ არის დაკავშირებული საერთო ფიზიკურ სივრცეში ყოფნასთან.

უფრო იოლია, ამ ცვლილებებს ზოგადად შეეხო, ვიდრე – დაწვრილებით გააანალიზო და პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის გავლენას მიადევნო თვალი. მომდევნო თავებიდან ბევრი სწორედ მცდელობაა – უეჭველია, ზოგჯერ არცთუ დამაჯერებელი მცდელობა – გავაანალიზო ეს ცვლილებები და მისი უფრო ფართო შედეგები გამოვიკვლიო. პირველი ორი თავი გახლავთ გზის შემზადება, როგორც თეორიული, ასევე ისტორიული მიმოხილვით. პირველ თავში ვაანალიზებ კომუნიკაციური მედიის ბუნებას უფრო ზოგადი სოციალური თეორიის ჩარჩოში; ეს თავი საფუძველს უმზადებს მედიის სოციალურ თეორიას იმ სტრუქტურირებული სოციალური კონტექსტის გაანალიზებით, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს ყველანაირი კომუნიკაცია – მათ შორის, მედიის გზით განხორციელებულიც (მედირებული), და რომელთან მიმართებაშიც უნდა იქნას ეს თეორია გაგებული.